ხელშეკრულება Ntab-01

ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

03.04.2012

ქ.თბილისი

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ს/კ211324351 (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი ნატო ავალიანის სახით, „სახელმწიფო" შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2 .ხელშეკრულების საგანი: - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის, ბენზინი „პრემიუმი" (ოქტანობა არანაკლებ 95) ნასყიდობა.

3. **ხელშკრულების საერთო ღირებულება: 2386,8 ლარი (ორი ათას სამას ოთხმოცდაექვსი ლარი და 80 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.** ერთი ლიტრი პრემიუმი-95 ფასი შეადგენს: 2 ლარი და 34 თეთრი.

4. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით: პრემიუმი-95 1020 ლიტრი.

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშკრულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულების მხარეთა მიერ მათი უფლება-ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. ხელშეკრულება დადებულია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მის. ქ. თბილისი მ.ასათიანის ქ. 9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE64TB0600000000345017

გენერალური დირექტორი

მოვალეობის შემსრულებელი

---------- მაია ბუწაშვილი

ბ.ა.

„ მიმწოდებელი“

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
მის. ქ. თბილისი დ. აღმაშენებელის N 154
საიდენტიფიკაციო კოდი 404391136
ს. ს. „თიბისი ბანკი“ -ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში# GE05TB7538836020100001
კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

---------- საბა ჯიშიაშვილი

ბ.ა.

ვიზა: კ. ოჩიგავა

დ. მღებრიშვილი

ო. ნამიჭეიშვილი

ხ. ფირანიშვილი

შემსრულებელი: ხ. ჭულუხაძე